



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

„ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ“

აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში

აუდიტის დეპარტამენტის უფროსი

ნოე ქაშიბაძე

24 მარტი 2017 წელი

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის
სამინისტრო

აუდიტის ანგარიში N16/36

2016 წლის 1 იანვარი - 2017 წლის 1 იანვარი

შინაარსი

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებაზე.....	3
სხვა განსაკუთრებული გარემოებები	7
ბალანსი და მასთან დაკავშირებული ანგარიშები	12

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებაზე

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობას

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს (შემდეგში „სამინისტრო“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ბალანსს 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მასთან დაკავშირებულ ანგარიშებს: ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით - ბალანსის დანართი ფორმა №2, არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების შესახებ - ბალანსის დანართი ფორმა №2-1, ფინანსური აქტივებითა და ვალდებულებებით საკასო ოპერაციების შესახებ - ბალანსის დანართი ფორმა №2-2, წმინდა ღირებულების შესახებ - ბალანსის დანართი ფორმა №3, არასაბიუჯეტო საქმიანობით მიღებული სახსრების მოძრაობის შესახებ - ბალანსის დანართი ფორმა №4, მიზნობრივი დაფინანსებისა და მიზნობრივი გრანტების შესახებ - ბალანსის დანართი ფორმა № 4-1, არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ - ბალანსის დანართი ფორმა №5, არასაოპერაციო შემოსავლებისა და არასაოპერაციო ხარჯების შედეგად ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილებების შესახებ - ბალანსის დანართი ფორმა №5-1, ინფორმაცია არაფინანსური აქტივების ანალიზური აღრიცხვის მონაცემებზე - ბალანსის დანართი ფორმა №6, ინფორმაცია ანგარიშებზე რიცხულ დებიტორულ დავალიანებათა შესახებ - ფორმა №7, ინფორმაცია ანგარიშებზე რიცხულ კრედიტორულ დავალიანებათა შესახებ - ფორმა №8, ინფორმაცია დებიტორული დავალიანების შესახებ ორგანიზაციულ ჭრილში - ფორმა №9, ინფორმაცია კრედიტორული დავალიანების შესახებ ორგანიზაციულ ჭრილში - ფორმა №10.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

სამინისტროს ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულების, „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ №364 ბრძანების შესაბამისად.

მოცემული პასუხისმგებლობა მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვას და შენარჩუნებას, რაც საჭიროა ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით, ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

სახელმწიფო აუდიტის სამსახური პასუხისმგებელია, აუდიტის საფუძველზე გამოთქვას მოსაზრება წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაზე. აუდიტი წარმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით მოითხოვება აუდიტორის მიერ ეთიკის მოთხოვნების დაცვა, აუდიტის დაგეგმვა და წარმართვა იმგვარად, რომ მიღებული იქნას დასაბუთებული რწმუნება იმის შესახებ, შეიცავს თუ არა მოცემული ფინანსური ანგარიშგება არსებით უზუსტობას.

აუდიტი ითვალისწინებს პროცედურების ჩატარებას აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხებისა და განმარტებითი შენიშვნების შესახებ. პროცედურები შეირჩევა აუდიტორის განსჯის საფუძველზე, რაც მოიცავს ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობების რისკების შეფასებას, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. ამ რისკების შეფასების დროს აუდიტორი განიხილავს, შესაფერისია თუ არა შიდა კონტროლი სამინისტროს ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის, რომ განსაზღვრულიყო მოცემული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოთქვას შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე. აუდიტი აგრეთვე გულისხმობს ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებულ სააღრიცხვო პოლიტიკისა და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების მართებულობის შეფასებას, ასევე მთლიანად ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შეფასებას.

მიგვაჩნია, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია პირობითი აუდიტორული მოსაზრების გამოთქმისათვის საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

აუდიტის შედეგად გამოვლინდა, რომ 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ორგანიზაციას არასწორად და უზუსტოდ აქვს წარდგენილი ფინანსური ანგარიშგების შემადგენელი ფორმა N1, ფორმა N2, ფორმა N3, ფორმა N5 და ფორმა N6, კერძოდ:

არაფინანსური აქტივების აღრიცხვა

➤ ექსპლუატაციაში მყოფი გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები, ნაცვლად ბალანსის საცნობარო მუხლში ასახვისა (წლის დასწყისში 7,846.15 ლარის ოდენობით, ხოლო წლის ბოლოს 8,007.65 ლარის ოდენობით), არასწორად ირიცხებოდა ნაშთის სახით ფინანსური ანგარიშგების ფორმა N1-ში ანგარიშზე „გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები“ (2200).¹ ამასთან, მცირეფასიანი გრძელვადიანი აქტივების მიღება-გასვლა ბალანსის დანართ ფორმა N5-ში შეცდომით იყო ასახული „სხვა ფასეულობების“ სტრიქონში².

¹ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ ინსტრუქციის“ 25-ე მუხლის მე-2 პუნქტი, მე-20 მუხლის მე-8 პუნქტი და 43-ე მუხლის მე-11 პუნქტი;

² საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ ინსტრუქციის“ 26-ე მუხლის პირველი პუნქტი,

აღნიშნულიდან გამომდინარე, ფინანსურ ანგარიშგებაში არსებული ინფორმაცია მცირეფასიანი გრძელვადიანი აქტივების შესახებ, არსებითობის გათვალისწინებით ვერ ასახავდა რეალურ მდგომარეობას³;

- სამინისტროს სამსახურებრივი საჭიროებიდან გამომდინარე აფხაზეთის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროსგან სარგებლობის უფლებით, მიღება-ჩაბარების აქტით⁴ უსასყიდლოდ გადმოეცა 17,839.29 ლარის ნარჩენი საბალანსო ღირებულების მქონე ავტომანქანა „Shkoda Octavia“ სახ. ნომრით - AF677FA. ავტომობილის მიღება ბუღალტრულ რეგისტრებში შეცდომით აღირიცხა, როგორც „ქონებასთან დაკავშირებული შემოსავლები, რომელიც სადაზღვევო პოლისის მფლობელებზე ვრცელდება“ (6414), ხოლო ბალანსის დანართ ფორმა N5-ში უსაფუძვლოდ აისახა სატრანსპორტო საშუალებების ბარტერით მიღებად. დადგენილი წესის⁵ მიხედვით ძირითადი აქტივების უსასყიდლოდ მიღება უნდა აისახოს „გრანტების“ (6300) ან „სხვა შემოსავლების“ (6400) ანგარიშზე.

ყოველივე აღნიშნულით ვერ იქნა უზრუნველყოფილი არაფინანსური აქტივის მიღების ოპერაციის სწორად აღრიცხვა და ფინანსურ ანგარიშგებაში შესაბამისად ასახვა⁶;

- სამინისტრომ ბრძანების⁷ საფუძველზე, მიღება-ჩაბარების აქტით⁸, სარგებლობის უფლებით, შემდგომი განკარგვის მიზნით აფხაზეთის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს გადასცა 8,690.26 ლარის ნარჩენი საბალანსო ღირებულების მქონე ავტომობილი „Mercedes Benz C-200“ სახ. ნომრით - FVF308. ავტომობილის გადაცემა ბუღალტრულ რეგისტრებში გრანტების (7600) ანგარიშიდან გასვლის ნაცვლად⁹, არასწორად ჩამოიწერა წმინდა ღირებულებიდან (5100), ხოლო ბალანსის დანართ ფორმა N3-ში და N5-ში არასწორად აღირიცხა, როგორც არასაოპერაციო ხარჯი (8200).

აღნიშნულიდან გამომდინარე, ვერ იქნა უზრუნველყოფილი არაფინანსური აქტივის გასვლის ოპერაციის სწორად აღრიცხვა და ფინანსურ ანგარიშგებაში შესაბამისად ასახვა¹⁰;

- სამინისტრომ 2016 წლის განმავლობაში სხვადასხვა სამედიცინო დაწესებულებებს¹¹ უსასყიდლოდ გადასცა 131,121.81 ლარის ღირებულების მატერიალური მარაგები. მოქმედი წესის¹² შესაბამისად აქტივის (მატერიალური მარაგების) უსასყიდლოდ გადაცემის შემთხვევაში, ხარჯი აისახება კაპიტალური ტრანსფერის სახით, როგორც კაპიტალური გრანტი. მიუხედავად ამისა, ბუღალტრულ რეგისტრებში, ბალანსის

³ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვალის N70 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ დებულების 29-ე მუხლის პირველი, მე-4 და მე-5 პუნქტები;

⁴ აფხაზეთის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროსა და აფხაზეთის ა/რ ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შორის 2016 წლის 29 აგვისტოს გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტი;

⁵ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ ინსტრუქციის“ 23-ე მუხლის მე-7 პუნქტი და 35-ე მუხლის მე-9 პუნქტი;

⁶ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვალის N70 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ დებულების 29-ე მუხლის პირველი, მე-4 და მე-5 პუნქტები;

⁷ აფხაზეთის ა/რ ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2016 წლის 29 სექტემბრის N260 ბრძანება;

⁸ აფხაზეთის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროსა და აფხაზეთის ა/რ ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შორის 2016 წლის 10 ნოემბრის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტი;

⁹ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ ინსტრუქციის“ 23-ე მუხლის მე-14 პუნქტი და 38-ე მუხლის მე-5 პუნქტი;

¹⁰ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვალის N70 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ დებულების 29-ე მუხლის პირველი, მე-4 და მე-5 პუნქტები;

¹¹ აფხაზეთის ა/რ მთავრობის მიერ წილობრივი მონაწილეობით შექმნილი შპს-ები, კერძოდ პოლიკლინიკები, ამბულატორიები;

¹² საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ ინსტრუქციის“ მე-20 მუხლის მე-7 პუნქტი და 38-ე მუხლის მე-5 პუნქტი;

დანართ ფორმა N3-ში და N5-ში აღნიშნული მარაგების გადაცემა არასწორად აღირიცხა, როგორც არასაოპერაციო ხარჯი (8200).

აღნიშნულიდან გამომდინარე, ფინანსურ ანგარიშგებაში არსებული ინფორმაცია მატერიალური მარაგების გასვლის შესახებ ვერ ასახავდა რეალურ მდგომარეობას¹³;

- ბალანსის დანართ ფორმა N6 - ში ინფორმაცია საანგარიშო პერიოდში სატრანსპორტო საშუალებებზე გაწეული საკასო და ფაქტიური ხარჯების შესახებ წარმოდგენილი იყო არასწორად¹⁴. კერძოდ:

ბალანსის დანართ ფორმა N6-ში წარმოდგენილი იყო შემდეგი ინფორმაცია:

თანხა ლარი

	დასახელება	საანგარიშო პერიოდში გაწეული ხარჯი (საკასო)				საანგარიშო პერიოდში გაწეული ხარჯი (ფაქტიური)			
		სულ ხარჯი	მ.შ. შეკეთება	მ.შ. საწვავი	მ.შ.სათა დარიგო ნაწილები	სულ ხარჯი	მ.შ. შეკეთება	მ.შ. საწვავი	მ.შ.სათა დარიგო ნაწილები
1	სატრ. საშ. სულ:	18,655.67	1,235.00	12,506.67	4,619.00	13,067.89	1,050.00	8,886.89	3,131.00
	მათ შორის:								
1,1	<i>მსუბუქი</i>	18,655.67	1,235.00	12,506.67	4,619.00	18,655.67	3,284.00	11,611.67	3,367.00

ბალანსის დანართ ფორმა N6-ში უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი შემდეგი ინფორმაცია:

თანხა ლარი

	დასახელება	საანგარიშო პერიოდში გაწეული ხარჯი (საკასო)				საანგარიშო პერიოდში გაწეული ხარჯი (ფაქტიური)			
		სულ ხარჯი	მ.შ. შეკეთება	მ.შ. საწვავი	მ.შ.სათა დარიგო ნაწილები	სულ ხარჯი	მ.შ. შეკეთება	მ.შ. საწვავი	მ.შ.სათა დარიგო ნაწილები
1	სატრ. საშ. სულ:	18,655.67	1,235.00	11,371.67	3,809.00	18,630.99	1,235.00	11,346.99	3,809.00
	მათ შორის:								
1,1	<i>მსუბუქი</i>	18,655.67	1,235.00	11,371.67	3,809.00	18,630.99	1,235.00	11,346.99	3,809.00

¹³ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვალის N70 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ დებულების 29-ე მუხლის პირველი, მე-4 და მე-5 პუნქტები;

¹⁴ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვალის N70 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ დებულების 29-ე მუხლის პირველი, მე-4 და მე-5 პუნქტები;

მიუხედავად იმისა, რომ ხარჯების ჯამობრივი მაჩვენებლები არსებითად არ განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან, ხარჯებში სტრუქტურული შემადგელობიდან გამომდინარე განსახვავებები არსებითი იყო. შესაბამისად აუდიტის ობიექტის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია მასზედ, რომ არსებული განსახვავებები გამოწვეული იყო მექანიკური შეცდომით, ვერ იქნება გაზიარებული სათანადო არგუმენტად.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ფინანსურ ანგარიშგებაში სატრანსპორტო საშუალებებზე გაწეული საკასო და ფაქტიური ხარჯების შესახებ ინფორმაცია, არსებითობის გათვალისწინებით ვერ ასახავს რეალურ მდგომარეობას¹⁵;

პირობითი მოსაზრება

ჩვენი აზრით, პირობითი მოსაზრების საფუძვლის აბზაცში აღწერილი საკითხების გარდა, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2016 წლის ფინანსური ანგარიშგება მთლიანად მომზადებულია მოქმედი კანონმდებლობის დაცვით და ყველა მნიშვნელოვანი ასპექტის გათვალისწინებით უტყუარად და სამართლიანად ასახავს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ფინანსურ მდგომარეობას 2016 წლის 31 დეკემბრისათვის.

სხვა განსაკუთრებული გარემოებები

პირობითი მოსაზრების აბზაცში წარმოდგენილი გარემოებების გარდა გვსურს, ყურადღება გავამახვილოთ შემდეგზე:

არაფინანსური აქტივები (შენობა-ნაგებობების განკარგვა)

სამინისტროსთვის სარგებლობის უფლებით გადაცემული შენობა-ნაგებობის მე-3 სართულის (სულ 800მ²) გარკვეულ ფართზე ყოველგვარი სამართლებრივი (კანონიერი) საფუძვლის გარეშე¹⁶, სამინისტროსთან ერთად განთავსებული იყო და ფუნქციონირებდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების დეპარტამენტის მმართველობის სფეროში შემავალი სსიპ - გამწვანებისა და გარემოსდაცვითი პროექტების სააგენტოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე სანიტარიის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის მონიტორინგისა და რეაგირების სამსახური (48 მ² ფართზე) საკუთარი საოფისე ინვენტარით და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს ფართის დაკანონების და განცხადებების მიღების განყოფილება (37 მ² ფართზე) საკუთარი საოფისე ინვენტარით.

ამდენად, იმის გამო, რომ მოქმედი კანონმდებლობით¹⁷ არ განხორციელებულა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების უსასყიდლოდ ან სასყიდლით (ქირით, იჯარით) გადაცემა,

¹⁵ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვალის N70 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ დებულების 29-ე მუხლის პირველი, მე-4 და მე-5 პუნქტები;

¹⁶ „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლის მე-3 პუნქტი და 35-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტები;

¹⁷ „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობაში გადაცემის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტი;

ადგილი ჰქონდა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების არამართებულად და არამიზნობრივად განკარგვას.

შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება

იმ პირობებში, როდესაც სამინისტროში შტატით მომუშავეთა რიცხოვნება ფაქტობრივად შეადგენდა 30 ერთეულს, 2016 წელს წლის გარკვეულ პერიოდში (5 თვემდე) ან მთელი წლის განმავლობაში (12 თვე), დასაქმებული იყო შტატგარეშე 12 მომუშავე (ანუ შტატით მომუშავეთა რაოდენობასთან მიმართებაში 40%)¹⁸ და მათზე ანაზღაურდა 67,961.00 ლარი, რაც სამინისტროში „საქონელი და მომსახურების“ მუხლით გაწეული ფაქტიური ხარჯების (166,146.66 ლარის) 41 %-ია, ხოლო შტატით მომუშავეთა „შრომის ანაზღაურების“ მუხლით გაწეული ფაქტიური ხარჯების (380,708.23 ლარის) 18 %.

წარმოდგენილი ინფორმაციით, შტატგარეშე მომუშავეთა დასაქმება განპირობებული იყო სამინისტროს გამართულად საქმიანობის აუცილებლობიდან გამომდინარე. თუმცა, აღნიშნული საკითხის მოსაგვარებლად სამინისტროს, ზემდგომი ორგანოსათვის დამატებითი საშტატო ერთეულის გამოყოფის მოთხოვნით არ მიუმართავს.

მოქმედი კანონმდებლობის თანახმად,¹⁹ შტატგარეშე მოსამსახურე არის პირი, რომელიც დანიშნით ან შრომითი ხელშეკრულებით გარკვეული ვადით მიიღება სამსახურში არამუდმივ ამოცანათა შესასრულებლად. თუმცა, შტატგარეშე მომუშავეთა დასაქმება ხდებოდა არა დროებით, არამედ ხანგრძლივი პერიოდით მუდმივი ხასიათის სამუშაოების შესასრულებლად. კერძოდ, სამინისტროში 6 შტატგარეშე პირი (მძღოლის და დამლაგებლის გარდა) აყვანილი იყო 2016 წელს ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში (6-12 თვე) მუდმივ ამოცანათა შესასრულებლად და მათზე ანაზღაურდა - 37,261.00 ლარი (თვეში საშუალოდ 600-870 ლარი). ამასთან, შტატგარეშე მომუშავეებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებების ანალიზით გაირკვა, რომ 2016 წლის განმავლობაში მომუშავე 6 შტატგარეშე მოსამსახურე სამინისტროში მუშაობდა 2015 წელსაც (7-11 თვით) და ყველა მათგანი ასრულებდა მათზე თავდაპირველად დაკისრებულ სამუშაოებს (მოვალეობებს).

შტატგარეშე მომუშავეებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებებით შესასრულებელი სამუშაოს შესახებ ანგარიშის წარდგენის ფორმა განსაზღვრული არ ყოფილა, შესრულებული სამუშაოს შესახებ ანგარიში წლის განმავლობაში წარმოდგენილი ჰქონდა მხოლოდ 2 პიროვნებას, ხოლო სხვა შემთხვევებში სამინისტროს აპარატში არსებულ კორესპოდენციაში, რაიმე ტიპის ოფიციალური დოკუმენტი (მოხსენებითი ბარათი, სამსახურებრივი ბარათი და სხვ.) რომლითაც დადასტურდებოდა შტატგარეშე მოსამსახურეების მიერ შესრულებული კონკრეტული სამუშაოს (მომსახურების) შედეგი და აქედან მიღებული სარგებელი არ ფიქსირდება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ფაქტობრივად ვერ დასტურდება (ვერ დგინდება) შტატგარეშე მომუშავეთა დასაქირავებლად გახარჯული სახსრების ეკონომიური, ეფექტიანი და პროდუქტიული მართვა.²⁰

¹⁸ 12/30 X 100

¹⁹ საჯარო სამსახურის შესახებ კანონის მე-8 მუხლი; 23-მე მუხლის მე-2 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტი.

²⁰ საქართველოს კანონი - „სახელმწიფო შიდა კონტროლის შესახებ“ მუხლი 7, პ.1.

პროგრამის შესრულება

2016 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტით დამტკიცებული²¹ „რეპროდუქციული ჯანმრთელობის გაუმჯობესების მიზნობრივი პროგრამის“ (პროგრამული კოდი 05 10) შესრულება ხასიათდებოდა დაბალი მაჩვენებლით. კერძოდ, პროგრამაზე გათვალისწინებული იყო 30,000.00 ლარი, აღნიშნული პროგრამის უზრუნველსაყოფად 2016 წლის 18 ივლისს გამოცხადდა ელექტრონული ტენდერი, რომელშიც გამარჯვებულ კომპანიასთან გაფორმებული ხელშეკრულებით²² მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება მომსახურება განეხორციელებინა 24,000.00 ლარად. თუმცა, პროგრამის შესრულებამ შეადგინა მხოლოდ 12,980.29 ლარი.

სამინისტროდან მიღებული ინფორმაციით, პროგრამის ათვისება ვერ მოხერხდა მისი დაგვიანებით დაწყების გამო. გარდა აღნიშნულისა, შესრულების დაბალი მაჩვენებლის მიზეზს წარმოადგენდა ის ფაქტორი, რომ ბენეფიციარების უმრავლესობა იყო რეგიონებიდან და ოკუპირებული ტერიტორიებიდან, ხოლო საზღვარზე გადმოსვლა დაკავშირებული იყო სიძნელეებთან, ხოლო კვლევების ნაწილი დამოკიდებული იყო პაციენტების ფიზიოლოგიურ მდგომარეობაზეც.

ამდენად, იმ პირობებში, როდესაც მომწოდებელი მზად იყო შეესრულებინა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები (მომსახურება განეხორციელებინა 24,000.00 ლარად), ბენეფიციარების არარსებობისა და პროგრამის გვიან დაწყების გამო პროგრამის შესრულებამ შეადგინა მხოლოდ 54%.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პროგრამის დაგეგმვისა და შესრულების კუთხით არსებული ნაკლოვანებები მიუთითებს ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის სისუსტეებზე, რის გამოც ფაქტობრივად ვერ იქნა უზრუნველყოფილი გამოყოფილ ასიგნებათა ფარგლებში პროგრამის ეფექტიანი და პროდუქტიული შესრულება.²³

სახელმწიფო შესყიდვები

ელექტრონულ ტენდერში გამოცხადებულ ფასზე 20%-ით და 20%-ზე დაბალი ფასი დაფიქსირდა 10 მომწოდებლის მიერ. სატენდერო დოკუმენტაციაში ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დასაბუთების ვალდებულების არსებობის მიუხედავად, სამინისტროს მიერ 3 შემთხვევაში პრეტენდენტისაგან არ იყო მოთხოვნილი, ხოლო მომწოდებლისგან წარმოდგენილი ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დასაბუთება.²⁴ კერძოდ:

²¹ „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2016 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-12 მუხლის 1.6 პუნქტი;

²² „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2016 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-12 მუხლის 1.6 პუნქტი;

²³ საქართველოს კანონი - „სახელმწიფო შიდა კონტროლის შესახებ“ მე-7 მუხლის პირველი პუნქტი;

²⁴ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის ბრძანება №9 „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ მე-11 მუხლის 2.1 პუნქტი;

SPA	შემსრულებელი	გამოცხადება	საბოლოო	სხვაობა	%
160004004	შპს მაღალი სამედიცინო ტექნოლოგიების ცენტრი, საუნივერსიტეტო კლინიკა	55,000.00	41,300.00	13,700.00	25%
160020470	შპს აკ. ვ. ივერიელის სახელობის ენდოკრინოლოგია-მეტაბოლოგია-დიეტოლოგიის ცენტრი "ენმედიცი"	30,000.00	24,000.00	6,000.00	20%
160025826	შპს დავით ტატიშვილის სპორტული მედიცინის და რეაბილიტაციის ცენტრი	10,000.00	6,995.00	3,005.00	30%

სამინისტროდან მიღებული ინფორმაციით, აღნიშნულ კლინიკებთან მსგავს შემთხვევებში თანამშრომლობის გამოცდილების არსებობიდან გამომდინარე, მათი მაღალი ცნობადობის გათვალისწინებით და ტენდერების დროულად ჩატარების მიზნით, სატენდერო კომისიის მიერ მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული აღნიშნულ კლინიკებთან ხელშეკრულებების გაფორმება. თუმცა, სამინისტროს მიერ წარმოდგენილი აღნიშნული განმარტება ვერ იქნება გაზიარებული სათანადო არგუმენტად.

ამდენად, სახელმწიფო შესყიდვების კუთხით აუდიტის შედეგად გამოვლენილი ნაკლოვანებები მიუთითებს სახელმწიფო შესყიდვების პროცესში ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის სისუსტეზე, რის გამოც ფაქტობრივად ვერ იქნა უზრუნველყოფილი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების სრული დაცვა.

წინა წლებში ჩატარებული აუდიტებით გამოვლენილი ნაკლოვანებების გამოსწორების მდგომარეობა

მიმდინარე აუდიტით კვლავ დაფიქსირდა ისეთი ნაკლოვანებები, რომლებსაც ადგილი ჰქონდა წინა პერიოდში ჩატარებული აუდიტებისას. კერძოდ:

- სახელმწიფო ქონების უკანონოდ გამოყენების ფაქტები, კვლავ დაფიქსირდა მიმდინარე აუდიტის ფარგლებში. მიუხედავად იმისა, რომ გამოვლენილ ნაკლოვანებებთან დაკავშირებით სამინისტროსთვის გაგზავნილი სარეკომენდაციო წერილით სას-მა გასცა შესაბამისი რეკომენდაციები, არსებული ნაკლოვანებები არ აღმოფხვრილა და სას-ის მიერ გაცემული რეკომენდაციები ამ ნაწილში მიმდინარე აუდიტის პერიოდში, როგორც წინა წლებში არ შესრულებულა;²⁵
- 2015 წლის ფინანსური აუდიტის დამტკიცებულ ანგარიშში²⁶ გამოვლენილი ნაკლოვანება, 7,846.15 ლარის ღირებულების გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივების მატერიალურ მარაგებად არასწორად აღიარებასთან და ფინანსურ ანგარიშგებაში ასახვასთან დაკავშირებით, აღრიცხვის კუთხით კვლავაც არ იყო გამოსწორებული. კერძოდ, ექსპლუატაციაში მყოფი გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები ამჯერადაც არასწორად იყო აღრიცხული ბალანსის ფორმა N1-ში ნაშთის სახით და შესაბამისად

²⁵ სას-ის 2016 წლის 22 მარტის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2015 წლის ფინანსური აუდიტის დამტკიცებული ანგარიში N14/36; სას-ის 2015 წლის 27 მარტის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2014 წლის ფინანსური აუდიტის დამტკიცებული ანგარიში N6/129;

²⁶ სას-ის 2016 წლის 22 მარტის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2015 წლის ფინანსური აუდიტის დამტკიცებული ანგარიში N14/36;

საცნობარო მუხლში ექსპლუატაციაში მყოფი ხარჯებში ჩამოწერილი გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივების ნაშთი წარმოდგენილი იყო 7,846.15 ლარით შემცირებული ოდენობით;

- მიმდინარე წელს, ისევე როგორც წინა წლებში,²⁷ მთელი ან გარკვეული პერიოდის განმავლობაში, კვლავ დასაქმებული იყვნენ შტატგარეშე მომუშავეები, რომლებიც მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა მიუხედავად რიგ შემთხვევაში ირიცხებოდნენ ფაქტობრივად მთელი წლის განმავლობაში.

სას-ის მიერ დაფიქსირებული ნაკლოვანებების მიუხედავად, მდგომარეობის გამოსწორების კუთხით მიმდინარე წელს, ისევე როგორც წინა წელს, ორგანიზაციის მიერ რაიმე სახის არსებითი ცვლილებები არ განხორციელებულა.

აუდიტის ჯგუფი:

უფროსი აუდიტორი
აუდიტორი
აუდიტორ-ასისტენტი

ბონდო გასვიანი
ავთანდილ კაპანაძე
მიხეილ გოდოლაძე

24 მარტი 2017 წელი

²⁷ სას-ის 2016 წლის 22 მარტის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2015 წლის ფინანსური აუდიტის დამტკიცებული ანგარიში N14/36; სას-ის 2015 წლის 27 მარტის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2014 წლის ფინანსური აუდიტის დამტკიცებული ანგარიში N6/129;

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

ფორმა №1

ბალანსი

ორგანიზაციის დასახელება

ჩაბარების ვადა _____

ჩააბარა _____

(ხელმოწერა)

პერიოდულობა: წლიური

ზომის ერთეული: ლარი

კოდი	აქტივები	ანგარიშის ნომერი	ნაშთი წლის დასაწყისისთვის	ნაშთი წლის (კვარტლის) ბოლოს
1	2	3	4	5
I.ფინანსური აქტივები და მოთხოვნები				
010	ნაღდი ფული სალაროში ეროვნულ ვალუტაში	1110		
020	ნაღდი ფული სალაროში უცხოურ ვალუტაში	1120		
030	მიმდინარე ანგარიში ბანკში ეროვნულ ვალუტაში	1211		
040	მიმდინარე ანგარიში ბანკში უცხოურ ვალუტაში	1212		
050	სხვა ანგარიშები ბანკში	1220		
060	მიმდინარე ანგარიში არასაბიუჯეტო სახსრებისათვის ხაზინაში	1230		
070	ანგარიში მიზნობრივი გრანტების და მიზნობრივი დაფინანსებისათვის	1240		
080	ანგარიში საბიუჯეტო სახსრებით ორგანიზაციის საკასო ხარჯებისათვის	1250		
090	დეპოზიტები ხაზინაში ეროვნულ ვალუტაში	1260		
100	დეპოზიტები ხაზინაში უცხოურ ვალუტაში	1270		
110	ხაზინის სავალუტო ანგარიში	1280		
120	სხვა ანგარიშები ხაზინაში	1290		
130	ფასიანი ქვანაღები, გარდა აქციებისა	1310		
140	მოკლევადიანი სესხები	1320		
150	აქციები და სხვა კაპიტალი	1330		
160	წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	1340		
170	საბიუჯეტო სესხებზე დარიცხული პროცენტები	1351		
180	არასაბიუჯეტო სესხებზე დარიცხული პროცენტები	1352		
190	დეპოზიტებზე და სხვა ფინანსურ აქტივებზე დარიცხული პროცენტები	1353		
200	მოთხოვნები დარიცხული ჯარიმებით, სანქციებით და საკუთრებასთან დაკავშირებული სხვა შემოსავლებით	1354		
210	მოთხოვნები ფულად სახსრებზე და მათ ექვივალენტებზე აქტივების/მომსახურების მიწოდებით	1355		
220	გადახდილი დღგ	1356		
230	წინასწარ გადახდილი მოგების გადასახადი	1357		
240	სხვა საგადასახადო აქტივი	1358		
250	მოთხოვნები ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების დანაკლისებით	1359		
260	სხვა დანარჩენი მოკლევადიანი ფინანსური აქტივები	1360		
270	მოთხოვნები ბარტერით	1410		
280	მოთხოვნები სადაზღვევო კომპანიების მიმართ	1420		
290	მოთხოვნები საქონლის და მომსახურების მიღებაზე წინასწარი გადახდებით	1431		
300	მოთხოვნები აქტივების მიღებაზე წინასწარი გადახდებით	1432		
310	მოთხოვნები არაფინანსური აქტივების დანაკლისებით	1440	152.56	152.56
320	ანგარიშვალდებული პირების მიმართ მოთხოვნები	1450		
330	მომუშავეების მიმართ მოთხოვნები	1460		

340	მოთხოვნები წინასწარ გადახდილი გადასახდელებით	1470		
350	სხვა დანარჩენი მოკლევადიანი მოთხოვნები	1480		
360	გრძელვადიანი სესხები	1510		
370	აქციები და სხვა კაპიტალი	1520		
380	სხვა გრძელვადიანი ფინანსური აქტივები	1530		
390	სხვა გრძელვადიანი მოთხოვნები	1540		
II. არაფინანსური აქტივები				
400	სტრატეგიული მარაგები	1610		
410	სხვა მატერიალური მარაგები	1620	146747.22	15923.79
420	შენობა-ნაგებობები	2110	778024.23	769592.97
430	მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	2120	62437.75	60777.63
440	სხვა ძირითადი აქტივები	2130	29709.50	29521.75
450	დაუმთავრებელი ძირითადი აქტივი	2141		
460	საოპერაციო იჯარით მიღებული ქონების არსებითი გაუმჯობესება	2142		
470	გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები	2200	7846.15	8007.65
480	ფასეულობები	2300		
490	არაწარმოებული აქტივები	2400		
	ბალანსი		1024917.41	883976.35

კოდი	ვალდებულებები და კაპიტალი	ანგარიშის ნომერი	ნაშთი წლის დასაწყისისა თვის	ნაშთი წლის (კვარტლის) ბოლოს
1	2	3	4	5
I. ვალდებულებები				
500	მოკლევადიანი ფინანსური ვალდებულებები	3100		
510	საქონლისა და მომსახურების მოწოდებით დარიცხული ვალდებულებები	3210		
520	აქტივების მოწოდებით დარიცხული ვალდებულებები	3220		
530	ვალდებულებები ბარტერით	3230		
540	გადასახდელი მოგების გადასახადი	3241		
550	გადასახდელი დღგ	3242		
560	გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი	3243		
570	სხვა გადასახდელები	3244		
580	ბიუჯეტის წინაშე დარიცხული ვალდებულებები	3245		
590	შტატით მომუშავეთათვის დარიცხული ხელფასები	3251		
600	შტატგარეშე მომუშავეთათვის დარიცხული ხელფასები	3252		
610	ვალდებულებები მივლინებით ქვეყნის შიგნით	3253		
620	ვალდებულებები მივლინებით ქვეყნის გარეთ	3254		
630	დამქირავებლის მიერ ფულადი ფორმით გაწეული სოციალური დახმარებით დარიცხული ვალდებულებები	3255		
640	დამქირავებლის მიერ სასაქონლო ფორმით გაწეული სოციალური დახმარებით დარიცხული ვალდებულებები	3256		
650	ვალდებულებები ორგანიზაციის მომუშავეების ხელფასებიდან დაკავებული თანხებით	3257		
660	გადასახდელი სტიპენდიები	3258		
670	სოციალური დაზღვევის ანარიცხები	3259		
680	ვალდებულებები დეპონენტების მიმართ	3260		
690	სოციალური დახმარებით დარიცხული ვალდებულებები	3270		
700	სხვა მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებები	3280		
710	გრძელვადიანი ვალდებულებები სესხებით	3310		
720	სხვა გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები	3320		
730	მომსახურების მოწოდებით დარიცხული გრძელვადიანი კრედიტორული დავალიანებები	3331		
740	აქტივების მოწოდებით დარიცხული გრძელვადიანი კრედიტორული დავალიანებები	3332		
750	სხვა გრძელვადიანი კრედიტორული დავალიანებები	3333		
II. კაპიტალი				
760	წმინდა ღირებულება	5100	1024917.41	883976.86
770	საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი	5210		
780	გაუნაწილებელი მოგება	5220		
790	დაუფარავი ზარალი*	5230		
	ბალანსი		1024917.41	883976.86
III. საცნობარო მუხლები				

800	საოპერაციო იჯარით აღებული ძირითადი აქტივები	01		
810	პასუხსაგებ შენახვაზე მიღებული მატერიალური ფასეულობები	02		
820	გადახდისუნარო დებიტორების ჩამოწერილი დავალიანება	03		
830	ხარჯებში ჩამოწერილი მარაგები ექსპლუატაციაში	04	5621.70	5621.70
840	პირობითი მოთხოვნები	05		
850	პირობითი ვალდებულებები	06		
860	საკუთარი სახსრებით კაპიტალის შექმნა	07		
870	ამორტიზებული ძირითადი აქტივები	08	40867.95	49675.51
880	ვადგადაცილებული დავალიანებები	09		
890	ექსპლუატაციაში მყოფი ხარჯებში ჩამოწერილი გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები	10	26721.85	27782.91
900	განსაკარგავად გადასაცემი მოძრავი ქონება	11		
910	საბანკო გარანტიები	12		

ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით

ორგანიზაციის დასახელება აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო
 პერიოდულობა: წლიური 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით

კოდი
249250466

ზომის ერთეული: ლარი

